

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის 2021 წლის
საქმიანობის მოკლე ანგარიში



საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 სექტემბრის №553-ე დადგენილებით შეიქმნა 2021 – 2030 წლების სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამისა (სტრატეგიის) და სამოქმედო გეგმის შემუშავებელი უწყებათაშორისი საბჭო და დამტკიცდა მისი დებულება. სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა, როგორც ამ საბჭოს მუშაობის ძირითადი კოორდინატორმა, გამართა შეხვედრები ორწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით საქართველოს ყველა სამინისტროს წარმომადგენლებთან და პროფესიულ ჯგუფებთან. 2021 წლის 30 აგვისტოს სტრატეგიის სამუშაო ვერსია გამოქვეყნდა საჯარო განხილვის მიზნით, რასაც მოჰყვა დაინტერესებულ მხარეთა, საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან შენიშვნებისა და წინადადებების მიღება, გაანალიზება, წერილობითი პასუხი, სტრატეგიის დოკუმენტის შევსება და საბოლოო ვერსიის მთავრობისათვის წარდგენა. საჯარო კონსულტაციები გაიმართა ჰიბრიდულად ორი თვის განმავლობაში. სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა (სტრატეგია) 2021-2030 და 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა 27 დეკემბერს დამტკიცდა მთავრობის მიერ.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით 2021 წლის 20 იანვარს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის წარმომადგენლებს ზუმის პლატფორმაზე ჰქონდათ შეხვედრა ლატვიური კომპანია „ტილდესთან“, რომელიც ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში ზრუნავს ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებთან ენობრივი ტექნოლოგიების შემუშავებასა და დანერგვაზე. ამ შეხვედრის დროს დაიგეგმა ორი სემინარი. პირველი ჩატარდა 2021 წლის 28 მაისს, ხოლო მეორე - 2021 წლის 10 მაისს. პირველი სემინარის დროს ქართულმა და ლატვიურმა მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება ზოგადად ენობრივი პოლიტიკისა და ტერმინოლოგიური მუშაობის თაობაზე, კერძოდ კი, ევროკავშირის ტერმინოლოგიასთან ინტეგრირებისა და ჰარმონიზაციის გზებზე. მეორე შეხვედრა შეეხო მანქანური თარგმანის გამოყენებას სახელმწიფო ადმინისტრაციის სხვადასხვა დონეზე, მათ შორის, ელექტრონულ მმართველობაში. განხილული იქნება ეროვნული ენობრივი ტექნოლოგიების პორტალის შექმნისა და ამოქმედებისთვის ჩასატარებელი

სამუშაოები, მანქანური თარგმანის უპირატესობები და მანქანური თარგმანის უზრუნველყოფის ფინანსური საფუძვლები. ორივე სემინარი საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერითა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანაორგანიზებით ჩატარდა.

ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის ოფისის ორგანიზებით სახელმწიფო ენის დეპარტამენტისათვის 2021 წლის 11 თებერვალს ჩატარდა სემინარი, რომელიც მიეძღვნა ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების ენობრივი პოლიტიკის საუკეთესო პრაქტიკის გაცნობას.

2021 წელს სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა 14 აპრილის აღსანიშნავად დაგეგმა რამდენიმე ღონისძიება, პანდემიური სიტუაციის გათვალისწინებით, ძირითადად, ვირტუალურ სივრცეში: 14-15 აპრილს სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა ზუმის პლატფორმაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან და გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოებასთან ერთად ჩაატარა სამეცნიერო კონფერენცია.

ასევე ზუმის პლატფორმაზე გაიმართა მრგვალი მაგიდა - „მცდარბეჭდილმძებნი“ და ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები დეპარტამენტის ორგანიზებით. მრგვალი მაგიდა მიზნად ისახავდა ენის ნორმალიზაციისათვის ენობრივი ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივის განხილვას.

სოციალურ ქსელში ქართული ენის პოპულარიზაციის მიზნით რამდენიმე კამპანია დაიგეგმა და განხორციელდა: „გააცოცხლე სიტყვა“, „დაიმახსოვრე“, „სიტყვა რჩეული“. კამპანიებში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებმა, ქართული ენის გულშემატკივარმა საქართველოს მოქალაქეებმა. მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სამახსოვრო სიგელებით.

სახელმწიფო ენის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში მომზადდა საერთაშორისო კონფერენცია: „ენები ციფრულ საუკუნეში - თანამედროვე

ტექნოლოგიები მწირრესურსებიანი ენებისთვის, რომელიც გაიმართა 7-8 ოქტომბერს. კონფერენციაზე ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ წარმოადგინა ის კვლევები, რომლებიც ქართული ენობრივი ტექნოლოგიების განვითარებისათვის არის მიმართული. კონფერენციას ესწრებოდნენ და პლენარულ და სექციურ მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ქართველ მეცნიერებთან ერთად სფეროს გამორჩეულმა სპეციალისტებმა დიდი ბრიტანეთიდან, ლატვიიდან, რუსეთიდან და სხვ.

გარდა ამისა, მომზადდა მეშვიდე საერთაშორისო კონფერენცია ქართულ-ოსური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივებზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა კვლევის ცენტრთან და გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოებასთან ერთად, რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის 13-14 ოქტომბერს.

დეპარტამენტმა დაასრულა მუშაობა ფრანგული ენის ბგერითი სისტემის ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესებზე, რომელიც განსახილველად გადაეცემა ექსპერტთა კომისიას.

თბილისის მერიასთან თანამშრომლობით გამოიცა კრებული „ვაჟა-ფშაველა - 160“, რომელშიც თავმოყრილია ენის შესახებ ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილები და ლექსები.

დეპარტამენტის თანამშრომლებმა წაკითხეს რამდენიმე საჯარო ლექცია და მოხსენება ენის სტანდარტიზაციის საკითხებსა და სახელმწიფო ენის სტრატეგიის მნიშვნელობაზე: დეპარტამენტის თავმჯდომარემ, გიორგი ალიბეგაშვილმა საჯარო მოხელეებისათვის საჯარო მოხელეთა ფორუმზე ისაუბრა ქართული სალიტერატურო ენის გამოყენების პრობლემებზე საჯარო სფეროში. სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა, მარინა ბერიძემ სახელმწიფო ენის სტრატეგია გააცნო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს სპეციალურად ორგანიზებულ შეხვედრებზე.

მომზადდა კონცეფცია და პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მოხალისეთა ჩართვას სახელმწიფო ენის დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში. პროგრამა 2022 წლიდან ამოქმედდება.

დეპარტამენტი გასცემს ზეპირ და წერილობით რეკომენდაციებს ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვასთან დაკავშირებით სახელმწიფო, კერძო და მოქალაქეების მიერ დამზადებული სარეკლამო ბანერებისა და აბრების ტექსტებზე.